



Wisława Szymborska

ვისლავა შიმბორსკა



ZWIĄZEK KULTURALNO-OŚWIATOWY
POLAKÓW W GRUZJI
„POLONIA“

WISŁAWA SZYMBORSKA

**NIEKTÓRZY LUBIĄ
POEZJĘ**

**Poświęcamy Pierwszej
Damie Poezji Polskiej**

Tbilisi 2003

საქართველოს კოლონელთა
კულტურულ-საგანმანათლებლო
კავშირი „POLONIA“

ვისლავა უიმბორსკა

ზოგიერთებს უყვართ
პოეზია

ვუძღვნით პოლონური პოეზიის
პირველ ქალბატონს

თბილისი 2003

ნობელის პრემიის ლაურეატის ვისლავა შიმბორსკას ღრმად ფილოსოფიური და ინტელექტუალური ლირიკა, ძირითადად, მიჰყრობილია ეთიკური პრობლემებისადმი. მისი ძირითადი მოტივია – ადამიანის ეგზისტენციალური სიტუაცია, პიროვნების დამოკიდებულება ისტორიისადმი, საუკუნების განმავლობაში შექმნილი კულტურის, მითებისა და მათთან დაკავშირებული იმედისადმი.

კრებულში წარმოდგენილია პოეტის ლირიკული ნაწარმოებები სხვადასხვა პერიოდის კრებულებიდან მიხეილ ქვლივიძის, გივი ალხაზიშვილისა და ნათელა გავაშელის თარგმანებით.

Wisława Szymborska, laureatka Nagrody Nobla w 1996 roku, rozwinęła i utrwaliła oryginalną poetykę. Jej twórczość prezentuje mistrzostwo artystyczne, nawiązujące do doświadczeń poezji XX wieku oraz tradycji humanistycznej. Cechuje ją precyzja słowa, posługiwanie się ironią i paradoksem, przetworzone poetycko treści filozoficzne. Szymborska stanowi fenomen i zagadkę: skromna, zamknięta w sobie i wyciszona, elektryzuje czytelników. Prostota jej wierszy skutecznie opiera się objaśnieniom badaczy i bezbłędnie trafia w gust współczesnego odbiorcy.

W niniejszym zbiorze zamieszczone zostały wiersze z różnych zbiorów i wszystkich okresów twórczości poetki w przekładach Michała Kwiliwiedzego, Giwiego Ałchaziszwilego oraz Nateli Gawaszeli.

შემდგენელი და რედაქტორი: პროფ. მარიამ ფილინა

Wybór wierszy, wstęp i redakcja: prof. Maria Filina

გამოცემულია საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოსა და „აღმოსავლეთის პოლონელების დახმარების“ ფონდის თანამონაწილეობით

Tom został wydany dzięki pomocy Ambasady RP w Tbilisi oraz Fundacji "Pomoc Polakom na Wschodzie".

წინასიტყვაობა

ადამ მიცკევიჩი, იულიუს სლოვაკი, ახლა კი ვისლავა შიმბორსკა – ამ თანმიმდევრობით გამოვიდა პოლონური პოეზიის ჩვენი ორენოვანი პოლონურ-ქართული კრებულები. ეროვნული პოეზიის გენიოსებს შორის მოხსენიება, თავისთავად ცხადია, უდიდესი პატივია, მაგრამ გარდა ამისა, ვისლავა შიმბორსკას 1996 წელს ნობელის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით უწოდეს პოეზიის პირველი ქალბატონი.

პოეტი დაიბადა 1923 წელს პოზნანის ახლოს. 1931 წლიდან დღემდე მისი ცხოვრება დაკავშირებულია კრაკოვთან. აქ, იაგელონის უნივერსიტეტში დაამთავრა მან პოლონური ფილოლოგიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი და აქვე დარჩა მუდმივად საცხოვრებლად. მისი, როგორც პოეტისა და ესეისტის დებიუტი 1945 წელს შედგა. 1953-1981 წლებში იგი იყო „ლიტერატურული ცხოვრების“ რედკოლეგიის წევრი, ხელმძღვანელობდა პოეზიის განყოფილებას და მიჰყავდა რუბრიკა „არასავალდებულო საკითხავი“. შიმბორსკა არის მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ჯილდოს ლაურეატი – ქალაქ კრაკოვის, კულტურისა და ხელოვნების მინისტრის და სხვ.

თავისი ლექსების გამოცემას პოეტი ძალიან მკაცრად ეკიდება. ამიტომაცაა, რომ თითქმის ყოველი მათგანი მოვლენადაა ქცეული. მისი მთავარი კრებულებია: „იმიტომ ვცხოვრობ“ (1952), „შეკითხვები საკუთარ თავთან“ (1957), „მარილი“ (1962), „ყოველი შემთხვევა“ (1972), „დიდი რიცხვები“ (1976), „ადამიანები ხიდზე“ (1986), „დასასრული და დასაწყისი“ (1993), „არასავალდებულო საკითხავი“ (1992), „ასი ლექსი – ასი ნუგეში“ (1997).

პოეტის ღრმად ფილოსოფიური და ინტელექტუალური ლირიკა, უმთავრესად, მიპყრობილია ეთიკური პრობლემებისადმი, მისი ძირითადი მოტივია – ადამიანის ეგზისტენციალური სიტუაცია, პიროვნების დამოკიდებულება ისტორიისადმი, საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურის მითებისადმი და მათთან დაკავშირებული იმედებისა და

„ნუგეშებისადმი“. შიმპორსკას პოეზიაში წამოყენებულია ფუნდამენტალური საკითხები, მაგალითად, თუ რა მნიშვნელობა და მიზანი აქვს ადამიანის ყოველგვარ მცდელობას, სწრაფვას, გამოცდილებასა და ჩანაფიქრს. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი სკეპტიკურად ეკიდება წარსულის გამოცდილების „შესაბამის“ ცოდნას და ვერ პოულობს ამ საკითხების გადაჭრის დამაკმაყოფილებელ გზებს ან პასუხებს, იგი მაინც არ მიდის უკიდურეს პესიმიზმამდე ან რეალიტივიზმამდე.

შიმპორსკას ფენომენი გამოცანას წარმოადგენს: მოკრძალებული, ჩაკეტილი, ნაზი და კამერული, იგი თითქოს აჯადოებს მკითხველს. მისი ლექსის უბრალოება კატეგორიულად არ ემორჩილება მკვლევართა განმარტებებს და საოცრად შეესაბამება თანამედროვე ადამიანის გემოვნებას. პოეტი ამყარებს ურთიერთობას მკითხველთან კრიტიკოსთა გვერდის ავლით და პრესის დაუხმარებლად, მისი ლექსები კი ვრცელდება მხოლოდ ბესტსელერებისთვის მისაწვდომი ტირაჟით.

ალბათ სტილის, პიროვნების განუმეორებლობა, შემოქმედებით და ეგზისტენციალურ დამოუკიდებლობად შეფასებული განსხვავებულობა წარმოადგენს შიმპორსკას პოპულარობისა და წარმატების საიდუმლოს. შიმპორსკა არასოდეს არანაირ პოეტურ მიმართულებასთან არ ყოფილა დაკავშირებული, მან შექმნა საკუთარი სკოლა, საკუთარი ენა. იგი პრინციპულად განზე დგას ისეთი პრობლემებისგან, როგორიცაა დიდი ისტორიული მოვლენები, ადამიანის არსებობის ბიოლოგიური პირობები, პოეტის საზოგადოებრივი როლი, ფილოსოფიური სისტემები, იდეოლოგიები, რწმენად მიღებული სინამდვილე, სტერეოტიპები, აღიარებული წესების შეზღუდულობა. მისი პოეტური ენა სავსეა დაჩაგრულთა მიმართ თანაგრძნობით, აღტაცებით ცხოვრებისადმი, რომელიც გვთვრუნავს თავისი არალოგიკურობით, სილამაზითა და ტრაგიზმით. მისი ენა აწონილი მსჯელობის, გრძნობათა ნახევარტონების, ლირიკის ენაა, რომელიც მოწმდება ცივი და ნათელი გონებით და ემორჩილება ინტელექტუალურ კანონებს, რაც არ გამოირიცხავს ჩვეულებრივი ყოფითი სინარულისადმი მგრძნობელობას.

შიმპორსკას გმირი აცხადებს: „ვცხოვრობ, ესე იგი ვუშვებ შეცდომებს“. ასეთია პოეტის მიერ ტრანსფორმირებული რაციონალისტური

თეზისი, რომელიც მსოფლიოს და ხელოვნების აღქმის საფუძველს წარმოადგენს. ხელოვნებას, ერთი შეხედვით, მოკრძალებული როლი აქვს მინიჭებული, დაახლოებით ისეთი, როგორიც სამეფო კარზე მასხარას ეკუთვნის, იმ მასხარას, რომელსაც პრივილეგია ჰქონდა არა მხოლოდ გაერთო მეფე და საზოგადოება, არამედ ყველაზე მწარე სიმათლევ ეთქვა. შიმბორსკას ლექსებში მეღანქოლიურ იუმორს განწირული იუმორი ცვლის, ხუმრობა და ირონია ერწყმის გროტესკს, აფორიზმები ზუსტი და ლაკონურია. ერთ-ერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა: „განსაზღვრებისას ზუსტი, არაჩვეულებრივად კომუნიკაციური, სევდიანი ირონიით აღსავსე ვისლავა შიმბორსკას პოეზია ცდილობს შეუფარდოს თანამედროვე ცხოვრებისეული გამოცდილება პოეტების მარადიულ კითხვებს. განსაკუთრებული სტილით, გემოვნებით და სიტყვით პოეტი ცდილობს დაიოკოს მუდმივი მღელვარება“.

1999 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ვისლავა შიმბორსკას მცირე კრებული მიხეილ ქელივიძისა და გივი აღზაზიშვილის თარგმანებით. ჩვენს კრებულში დაემატა ნათელა გავაშელის თარგმანი. ცხადია, ეს ორენოვანი კრებულიც ვერ იტევს პოეტის მთელ ლირიკას. თუმცა ჩვენ ვეცადეთ წარმოგვედგინა პოეტის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდების ნამუშევრები სხვადასხვა კრებულებიდან. შეიძლება ითქვას, რომ პოლონელ პოეტთა მესამე ორენოვანი კრებული თავისებურად უკვე წარმოადგენს სერიას, რომელსაც, იმედი გვაქვს, გაგრძელება ექნება.

ლიონა

WPROWADZENIE

Adam Mickiewicz, Juliusz Słowacki, a teraz Wisława Szymborska – w takiej kolejności ukazały się nasze dwujęzyczne zbiory poezji polskiej w tłumaczeniach na język gruziński. Wielkim zaszczytem dla poety jest znaleźć się obok Wieszców, jednak nie jest to przypadek. Wisława Szymborska została uhonorowana nieoficjalnym tytułem Pierwszej Damy poezji, kiedy w 1996 roku otrzymała Nagrodę Nobla.

Wisława Szymborska urodziła się w 1923 roku w Bninie pod Poznaniem. Związała całe życie z Krakowem, gdzie mieszka od 1931 roku. W latach 1945-48 studiowała filologię polską i socjologię na Uniwersytecie Jagiellońskim. Debiutowała w marcu 1945 roku wierszem "Szukam słowa" w piśmie "Walka". Przez wiele lat, od 1952 roku, pracowała w redakcji krakowskiego "Życia Literackiego". Do 1981 roku prowadziła tam dział poezji. Tam też ukazywał się jej cykl felietonów "Lektury nadobowiązkowe".

Wisława Szymborska jest laureatką wielu nagród: Nagrody Polskiego PEN-Clubu, Nagrody Goethego, Nagrody Herdera. Ma także tytuł doktora *Honoris causa* Uniwersytetu im. A. Mickiewicza w Poznaniu.

Poetka pisze mało. Obliczono, że wydała zaledwie 250 wierszy. Być może dzięki temu ograniczeniu są one prawie bez wyjątku arcydziełami. Szymborska należy do grona poetów klasycystycznych. W zbiorach wierszy *Dlatego żyjemy* (1952), *Pytania zadawane sobie* (1954), *Wołanie do Yeti* (1957), *Sól* (1962), *Sto pociech* (1967), *Wszelki wypadek* (1972), *Wielka liczba* (1976), *Ludzie na moście* (1986), oraz *Koniec i początek* (1993) rozwinęła i utrwaliła oryginalną poetykę. Jej twórczość prezentuje mistrzostwo

artystyczne nawiązujące do doświadczeń poezji XX wieku oraz tradycji humanistycznej. Cechuje ją precyzja słowa, posługiwanie się ironią i paradoksem oraz przetworzonymi poetycko treściami filozoficznymi.

Szyborska stanowi fenomen i zagadkę: skromna, zamknięta w sobie, dyskretna i wyciszona, elektryzuje czytelników. Prostota jej wierszy skutecznie opiera się objaśnieniom badaczy i bezbłędnie trafia w gust współczesnego odbiorcy. Poetka nawiązuje kontakt z publicznością ponad głowami krytyków i bez pomocy mass mediów, a jej wiersze rozchodzą się w nakładach niezwykłych dla poezji.


Co decyduje o popularności Szyborskiej i jej sukcesie? Osobliwość stylu, odrębność, wyłączość, rozumiana jako warunek twórczej i egzystencjalnej niezależności.

Szyborska nie utożsamiała się nigdy z żadnym kierunkiem poetyckim, stworzyła własną szkołę pisania, własny język – pełen dystansu do wielkich wydarzeń historycznych, do biologicznych uwarunkowań ludzkiego istnienia, do społecznej roli poety, do systemów filozoficznych, ideologii, prawd przyjmowanych na wiarę, nawyków, stereotypów i zahamowań. Jest to również język współczucia dla pokrzywdzonych, język zachwyty nad urodą życia, które poraża swym pięknem, nielogicznością, a nawet tragizmem. Język wyważonych sądów i stonowanych uczuć, język liryki kontrolowanej przez umysł chłodny i świeży, język poddany intelektualnym rygorom, które nie wykluczają wrażliwości na zwyczajne uroki bytu (na podstawie www.culture.pl).

W 1999 roku w Tbilisi w wydawnictwie „Merani“ ukazał się niewielki tomik wierszy Wisławy Szyborskiej w przekładach na język gruziński autorstwa Michała Kwliwidzego i Giwiego Ałchaziszwilego. W niniejszym zbiorze obok tłumaczeń tych poetów zamieszczone zostały przekłady Nately Gawaszeli. Oczywiście w naszym dwujęzycznym tomie liryka Szyborskiej przedstawiona

jest wybiórczo. Staraliśmy się jednak wybrać wiersze z różnych zbiorów oraz przedstawić wszystkie okresy twórczości poetki. Wydane przez nas trzy zbiory wierszy polskich poetów mają dać początek serii poezji polskiej w języku ojczystym i tłumaczeniach gruzińskich. Mamy nadzieję, iż po nich nastąpią kolejne spotkania gruzińskiego czytelnika z literaturą polską.







ŁUDZIE NA MOŚCIE

Dziwna planeta i dziwni na niej ci ludzie.
Ulegają czasowi, ale nie chcą go uznać.
Mają sposoby, żeby swój sprzeciw wyrazić.
Robią obrazki jak na przykład ten:

Nic szczególnego na pierwszy rzut oka.
Widać wodę.
Widać jeden z jej brzegów.
Widać czółno mozolnie płynące pod prąd.
Widać nad wodą most i widać ludzi na moście.
Ludzie wyraźnie przyspieszają kroku,
bo właśnie z ciemnej chmury
zaczął deszcz ostro zacinać.

Cała rzecz w tym, że nic nie dzieje się dalej.
Chmura nie zmienia barwy ani kształtu.
Deszcz ani się wzmacnia, ani nie ustaje.
Czółno płynie bez ruchu.
Ludzie na moście biegną
ściśle tam, co przed chwilą.



ადამიანები ხილზე

უცნაურია ეს პლანეტა, ხალხიც უცნაურია აქ.
დროის მორჩილება, მაგრამ არ სურთ ამის აღიარება.
ხერხებიც მოიგონეს თავისი დაუმორჩილებლობის გამოსახატავად.
პატარ-პატარა წარმოდგენებს მართავენ. მაგალითად, ასეთს:
ერთი შეხედვით, თითქოს არაფერიაო,
მდინარე მოჩანს.
მოჩანს მდინარის ერთი ნაპირი.
მოჩანს ნავი, დინების საწინააღმდეგოდ რომ მიცურავს,
მდინარეზე ხილია.
ხიდს შავი ღრუბელი დასწოლია.
ხილზე ხალხი მიმოდის.
აშკარად ჩანს, ადამიანები აუჩქარებენ ნაბიჯს,
რადგან სწორედ ამ დროს
შხაპუნა წვიმა იწყება.
საქმეც ისაა, რომ ამის შემდეგ აღარაფერი ხდება.
ღრუბელი არც ფერს იცვლის, არც ფორმას,
წვიმა არც ძლიერდება, არც წყდება,
ნავი ისევ თავისი ადგილზეა,
ხიდზე ხალხი იმავე მიმართულებით გარბის,
საითაც ერთი წუთის წინ გარბოდა.

Trudno tu obejść się bez komentarza:
To nie jest wcale obrazek niewinny.
Zatrzymano tu czas.
Przestano liczyć się z prawami jego.
Pozbawiono go wpływu na rozwój wypadków.
Zlekceważono go i znieważono.

Za sprawą buntownika,
jakiegoś Hiroshige Utagawy
(istoty, która zresztą
dawno i jak należy minęła),
czas potknął się i upadł.

Może to tylko psota bez znaczenia,
wybryk na skalę paru zaledwie galaktyk,
na wszelki jednak wypadek
dodajmy, co następuje:

Bywa to w dobrym tonie
wysoko sobie cenić ten obrazek,
zachwycać się nim i wzruszać od pokoleń.

Są tacy, którym i to nie wystarcza.

ძნელია, ყოველივე ამას კომენტარი არ გაუკეთდეს:

ეს სანახაობა არც იმდენად უწყინარია.

აქ დრო შეჩერებულია.

მის კანონებს ანგარიშს აღარ უწევენ.

მას უფლება აჰყარეს, გავლენა იქონიოს მოვლენათა განვითარებაზე.

იგი აბუჩად აიგდეს და შეურაცხყვეს.

ვილაც მემამბოხის,

ვინმე ხიროსიგა უტაგავას კაპრიზით

(არსებისა, ვინც, სხვათა შორის,

დიდ ხანია და როგორც წესია, არყოფნაში გადაინაცვლა)

დრომ წაიბოროძიკა და გაჩერდა.

შესაძლოა, ეს უმნიშვნელო ხუმრობა იყოს,

უსაქციელობა, ორიოდე გალაქტიკის მასშტაბით ჩადენილი,

მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისთვის,

დავძინოთ შემდეგიც:

აქ კარგ ტონად ითვლება

მაღალი შეფასება მიეცეს ამ სანახაობას,

აღტაცება გამოითქვას მასზე


და ეს აღტაცება თაობიდან თაობას გადაეცეს.

არიან ისეთები, ვისაც ესეც არ ჰყოფნით:

Słyszają nawet szum deszczu,
czują chłód kropeł na karkach i plecach,
patrzają na most i ludzi,
jakby widzieli tam siebie,
w tym samym biegu nigdy nie dobiegającym
drogą bez końca, wiecznie do odbycia
i wierzą w swoim zuchwalstwie,
że tak jest rzeczywiście.



იმათ წვიმის ხმაურიც ესმით,
წვეთების სისველესაც გრძნობენ კეფით, ზურგით
და პირდაღებული მისჩერებიან ხილს ისე, თითქოს მასზე
მიმავალ ხალხში თავის თავსაც ხედავენ,
ვითომ ისინიც გარბიან სადღაც იმ დასასრულისაკენ,
თითუელ მათგანს წინ რომ ელოდება
და თავმომწონედ ჰკონიათ,
რომ ყოველივე ეს მართლა ასე ხდება სინამდვილეში.





NAGROBEK

Tu leży staroświecka jak przecinek
autorka paru wierszy. Wieczny odpoczynek
raczyła dać jej ziemia, pomimo że trup
nie należał do żadnej z literackich grup.
Ale też nic lepszego nie ma na mogile
oprócz tej rymowanki, łopianu i sowy.
Przechodniu, wyjmij z teczki mózg elektronowy
i nad losem Szymborskiej podumaj przez chwilę.



ეპიტაფია

აქ წევს სასვენი ნიშანივით მოდიდან გამოსული,
რამდენიმე ლექსის ავტორი.

საუკუნო განსასვენებელი არგუნა მიწამ,
თუმცა გვამი იგი არც ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას
არ ეკუთვნოდა.

საფლავზე ამოსული ოროვანდისა და ამ სტრიქონების გარდა,
აქ საყურადღებო არაფერია.

გზად მიმავალო, ამოიღე პორტფელიდან
შენი ელექტრონული ტვინი
და შიმბორსკას ბედზე ჩაფიქრდი წამით.



SCHYLEK WIEKU

Miał być lepszy od zeszyłych nasz XX wiek.
Już tego dowieść nie zdąży,
lata ma policzone,
krok chwiejny,
oddech krótki.

Już zbyt wiele się stało,
co się stać nie miało,
a to, co miało nadejść,
nie nadeszło.

Miało się mieć ku wiosnie
i szczęściu, między innymi.

Strach miał opuścić góry i doliny.
Prawda szybciej od kłamstwa
miała dobiegać do celu.

Miało się kilka nieszczęść
nie przydarzać już,
na przykład wojna
i głód, i tak dalej.
W poważaniu być miała



საუკუნის დასასრული

ეს უკეთესი უნდა იყოს გავლილ საუკუნეებზე –
ჩვენი მეოცე
ამის დამტკიცებას ველარ მოასწრებს:
თითზე დასათვლელი წლებილა დარჩა
მოკლე სუნთქვა აქვს
და არეული ნაბიჯი
უკვე ბევრი რამ მოხდა
რაც უნდა მომხდარიყო
და რაც არ უნდა მომხდარიყო
და რაც უნდა მომხდარიყო,
არ მოხდა
გაზაფხული უნდა დამდგარიყო,
ბედნიერებაც, სხვათა შორის.
შიში უნდა გასცლოდა მთა-ბარს
სიმართლეს სიცრუეზე სწრაფად
უნდა მიეღწია მიზნისთვის
რამდენიმე უბედურება არ უნდა მომხდარიყო
მაგალითად, ომები
შიმშილობა და ასე შემდეგ
პატივისცემის ღირსი უნდა გამხდარიყო
განიარალებულთა უილაჯობა,

bezbronność bezbronnych,
ufność i tym podobne.

Kto chciał cieszyć się światem,
ten staje przed zadaniem
nie do wykonania.

Głupota nie jest śmieszna.
Mądrość nie jest wesoła.

Nadzieja
to już nie jest ta młoda dziewczyna
et cetera, niestety.

Bóg miał nareszcie uwierzyć w człowieka
dobrego i silnego,
ale dobry i silny
to ciągle jeszcze dwóch ludzi.

Jak żyć - spytał mnie w liście ktoś,
kogo ja zamierzałam spytać
o to samo.

Znowu i tak jak zawsze,
co widać powyżej,
nie ma pytań pilniejszych
od pytań naiwnych.

ნდობა და სხვა ამისთანანი.

ვისაც სურდა მშვიდობით ეხარა
ამოუხსნელი ამოცანის წინაშე დგას
სიბრძნე სასაცილო აღარ არი
სიბრძნე გახარებული

იმედი

უმანკო ქალიშვილი

დაქალებულა და ასე შემდეგ
დმერთს, ბოლოს და ბოლოს, უნდა ერწმუნო
რომ ადამიანი კეთილია და ძლიერი,
მაგრამ კეთილი და ძლიერი –
ისევ ორი ადამიანია.


„როგორ ვიცხოვროთ?“ – მკითხა ამას წინათ ვიღაცამ,
ვისთვისაც მე თვითონ მინდოდა მეკითხა იგივე.
ისევ ისე და იმნაირად როგორც ყოველთვის –
რაც თავისთავად ჩანს ზემოთქმულიდან.

გულუბრყვილო შეკითხვებს
დაუყოვნებლივ უნდა გაეცეს პასუხი.



MOŻLIWOŚCI

Wolę kino.
Wolę koty.
Wolę dęby nad Wartą.
Wolę Dickensa od Dostojewskiego.
Wolę siebie lubiącą ludzi
niż siebie kochającą ludzkość.
Wolę mieć w pogotowiu igłę z nitką.
Wolę kolor zielony.
Wolę nie twierdzić,
że rozum jest wszystkiemu winien.
Wolę wyjątki.
Wolę wychodzić wcześniej.
Wolę rozmawiać z lekarzami o czymś innym.
Wolę stare ilustracje w prążki.
Wolę śmieszność pisania wierszy
od śmieszności ich niepisania.
Wolę w miłości rocznice nieokrągłe,
do obchodzenia co dzień.
Wolę moralistów,
którzy nie obiecują mi nic.



შესაკლმბლობანი

მირჩევნია კინო.

მირჩევნია ზვადი კატები.

მირჩევნია მუხები ვარტის პირას.

მირჩევნია დიკენსი დოსტოვესკის.

მირჩევნია ჩემს თავს, კაცობრიობაზე შეყვარებულს
ჩემი თავი – ადამიანის მოყვარული.

მირჩევნია მწვანე ფერი.

მირჩევნია არ ვამტკიცებდე,

თითქოს ყველაფერში გონებაა დამნაშავე.

მირჩევნია გამონაკლისები.

მირჩევნია ადრე ჩავიდე.

მირჩევნია ექიმებს სხვა საკითხებზე ველაპარაკო.

მირჩევნია ძველი, ზოლიანი ილუსტრაციები.

მირჩევნია სასაცილო ვიყო, როდესაც ლექსს ვწერ,

ვიდრე სასაცილო ვიყო, როდესაც ლექსს არ ვწერ.

სიყვარულის მრგვალი თარიღების აღნიშვნას

მირჩევნია ყოველდღე ვზეიმობდე სიყვარულს.

მირჩევნია გარდაცვლილთა სულების საიუბილეო გახსენებას
ყოველდღე მახსოვდეს ისინი.

მირჩევნია მორალისტები, არაფერს რომ არ მპირდებიან.

პრაქტიკული სიკეთე მირჩევნია

Wolę dobroć przebiegłą od łatwowiej za bardzo.
Wolę ziemię w cywilu.
Wolę kraje podbite niż podbijające.
Wolę mieć zastrzeżenia.
Wolę piekło chaosu od piekła porządku.
Wolę bajki Grimma od pierwszych stron gazet.
Wolę liście bez kwiatów niż kwiaty bez liści.
Wolę psy z ogonem nie przyciętym.
Wolę oczy jasne, ponieważ mam ciemne.
Wolę szuflady.
Wolę wiele rzeczy, których tu nie wymieniłam
od wielu również tu nie wymienionych.
Wolę zera luzem
niż ustawione w kolejce do cyfry.
Wolę czas owadzi od gwiazdnego.
Wolę odpukać.
Wolę nie pytać, jak długo jeszcze i kiedy.
Wolę brać pod uwagę nawet tę możliwość,
że byt ma swoją rację.



მეტისმეტი ნდობით თვალახვეულ სიკეთეს.
მირჩევნია დედამიწა სამოქალაქო ტანსაცმელში.
მირჩევნია დაპყრობილი ქვეყნები დამპყრობ სახელმწიფოებს.
მირჩევნია მქონდეს დამატებითი შენიშვნები.
მირჩევნია ქაოსის ჯოჯოხეთი წესრიგის ქაოსს.
მირჩევნია ძმები გრიძების ზღაპრები გაზეთის მოწინავეებს.
მირჩევნია გაფოთლილი ტოტები უფოთლო ყვავილებს.
მირჩევნია კუდიანი ძაღლები კუდმოჭრილ ძაღლებს.
მირჩევნია ღია ფერის თვალები,
რადგან მე თვითონ მუქი თვალები მაქვს.
მირჩევნია გამოსაწევი უჯრები.
ბევრი რამ, რაც აქ არ დავასახელე,
მირჩევნია ბევრ რამეს, რაც აგრეთვე არ დამისახელებია.
მირჩევნია ცალკე აღებული ნულები –
ნებისმიერი ციფრის უკან ჩამწკრივებულ ნულებს.
მირჩევნია მწერების ასაკი ვარსკვლავთა ასაკს.
მირჩევნია ხეს მიუუკაკუნო.
მირჩევნია არ ვკითხულობდე: რამდენ ხანს და როდის.
მირჩევნია ყოველთვის მხედველობაში მქონდეს ის შესაძლებლობაც,
რომ ყოფიერებას თავისი აზრი აქვს.





PISANIE ŻYCIORYSU

Co trzeba?

Trzeba napisać podanie,
a do podania dołączyć życiorys.

Bez względu na długość życia
życiorys powinien być krótki.

Obowiązuje zwięzłość i selekcja faktów.
Zamiana krajobrazów na adresy
i chwiejnych wspomnień w nieruchome daty.

Z wszystkich miłości starczy ślubna,
a z dzieci tylko urodzone.

Ważniejsze, kto cię zna, niż kogo znasz.
Podróże tylko jeśli zagraniczne.
Przynależność do czego, ale bez dłaczego.
Odznaczenia bez za co.



ბიოგრაფიის დაწერა

საჭირო რაა?

განცხადება, რასაც ბიოგრაფია უნდა დაერთოს.

ასაკის მიუხედავად,

ბიოგრაფია მოკლე უნდა იყოს.

აუცილებელია ფაქტების შერჩევა

და ლაკონური გადმოცემა.

პეიზაჟების მაგივრად, მისამართები უნდა აღინიშნოს

და პერყევი მოგონებების ნაცვლად

დაფიქსირდეს ურყევი ფაქტები.

ყველა შესაძლებლობიდან მარტო ქორწინებაა მოსახსენებელი

და ყველა ბავშვებიდან – მხოლოდ დაბადებულები.

ის, ვინც შენ გიცნობს უფრო მნიშვნელოვანია,

ვიდრე ის, ვისაც შენ იცნობ.

უნდა აღინიშნოს, რომელ პარტიას ან მიმართულებას ეკუთვნის.

რატომ? არავის აინტერესებს.

აგრეთვე ჯილდოებია ჩამოსათვლელი.

რისთვის? ამას მნიშვნელობა არა აქვს.

უნდა წერო ისე, თითქოს არასდროს გისაუბრია საკუთარ თავთან,

ყოველთვის გვერდს უვლიდე მას.

Pisz tak, jakbyś ze sobą nigdy nie rozmawiał
i omijał z daleka.

Pomiń milczeniem psy, koty i ptaki,
pamiętkowe rupiecie, przyjaciół i sny.

Raczej cena niż wartość
i tytuł niż treść.

Raczej już numer butów, niż dokąd on idzie,
ten za kogo uchodzisz.

Do tego fotografia z odsłoniętym uchem.
Liczy się jego kształt, nie to, co słyhać.
Co słyhać?

Łomot maszyn, które miały papier.



არ უნდა ახსენო ძაღლები, კატები, ფრინველები,
ღირსშესანიშნავი ადგილები, მეგობრები.
ანლობლები, რომელთა შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება...
ცხადია, ისიც უნდა მიუთითო, სად აპირებ გამგზავრებას,
მაგრამ შენი ფეხსაცმლის ზომა
უფრო საყურადღებოა მათთვის,
ვისაც მიაშიტად სჯერა,
რომ ეს ბიოგრაფია მართლა შენი ბიოგრაფიაა.
სამი ფოტოსურათიცაა საჭიროა, მხოლოდ ისეთი,
სადაც ყურები გიჩანს,
ყურების ფორმა უფრო მნიშვნელოვანია,
ვიდრე ის, რაც ამ ყურებს ესმით. რა ესმით?
ქალაქის საფეხავი მანქანების გრიალი.





DZIECI EPOKI

Jesteśmy dziećmi epoki,
epoka jest polityczna.

Wszystkie twoje, nasze, wasze
dzienne sprawy, nocne sprawy
to są sprawy polityczne.

Chcesz czy nie chcesz,
twoje geny mają przeszłość polityczną,
skóra odcień polityczny,
oczy aspekt polityczny.

O czym mówisz, ma rezonans,
o czym milczysz, ma wymowę
tak czy owak polityczną.

Nawet idąc borem lasem
stawiasz kroki polityczne
na podłożu politycznym.

Wiersze apolityczne też są polityczne,
a w górze świeci księżyc,



ეპოქის შვილები

ჩვენ ეპოქის შვილები ვართ.
ეპოქა პოლიტიკურია.
შენი, ჩვენი, თქვენი,
დღის საზრუნავი თუ ღამის საქმეები –
ეს სულ პოლიტიკური საქმეებია.
გინდა, არ გინდა,
შენს გენებს პოლიტიკური წარსული აქვს,
შენს კანს – პოლიტიკური ელფერი,
შენს თვალებს – პოლიტიკური ასპექტი.
ყველაფერს, რასაც ლაპარაკობ – რეზონანსი აქვს,
რაზეც სდუმხარ – მნიშვნელობა გააჩნია,
მეტნაკლებად პოლიტიკური.
ტყეში თუ სეირნობ,
პოლიტიკურ ნაბიჯებს ადგამ
პოლიტიკურ ნიადაგზე.
აპოლიტიკური ლექსიც პოლიტიკურია,
და მთვარე, თავზე რომ დაგნათის,
ისიც ობიექტია პოლიტიკური.
„ყოფნა?.. არაყოფნა?..“
ესეც პოლიტიკური საკითხია.

obiekt już nie księżycowy.
Być albo nie być, oto jest pytanie.
Jakie pytanie, odpowiesz kochanie.
Pytanie polityczne.

Nie musisz nawet być istotą ludzką,
by zyskać na znaczeniu politycznym.
Wystarczy, żebyś był ropą naftową,
paszą treściwą czy surowcem wtórnym.

Albo i stołem obrad, o którego kształt
spierano się miesiącami:
przy jakim pertraktować o życiu i śmierci,
okrągłym czy kwadratowym.

Tymczasem ginęli ludzie,
zdychały zwierzęta,
płonęły domy
i dziczały pola
jak w epokach zamierzchłych
i mniej politycznych.

შეიძლება ადამიანი სულაც არ იყო,
მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა გქონდეს,
ამისათვის საკმარისია ნავთობი იყო,
კომბინირებული საკვები, მეორადი ნედლეული
ან თუნდაც სათათბირო მაგიდა,
რაზე კამათობდნენ თვეობით პოლიტიკოსები:
მრგვალ თუ სწორკუთხოვან მაგიდასთან ჩაატარონ
მოლაპარაკება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე.
ამასობაში კი ხალხი იხოცებოდა,
საქონელი წყდებოდა,
სახლები იწვოდა
და ნათესები უდაბურდებოდა,
როგორც ეს უძველეს ხანაში,
ნაკლებად პოლიტიკურ ეპოქაში ხდებოდა.




TORTURY

Nic się nie zmieniło.
Ciało jest bolesne,
jeść musi i oddychać powietrzem, i spać,
ma ciekłą skórę, a tuż pod nią krew,
ma spory zasób zębów i paznokci,
kości jego łamliwe, stawy rozciągliwe.
W torturach jest to wszystko brane pod uwagę.
Nic się nie zmieniło.

Ciało drży, jak drżało
przed założeniem Rzymu i po założeniu,
w dwudziestym wieku przed i po Chrystusie,
tortury są, jak były, zmaląła tylko ziemia
i cokolwiek się dzieje, to tak jak za ścianą.

Nic się nie zmieniło.
Przybyło tylko ludzi,
obok starych przewinień zjawily się nowe,
rzeczywiste, umówione, chwilowe i żadne,
ale krzyk, jakim ciało za nie odpowiada,



წამება

არაფერი შეიცვალა.

სხეულს ტკივილის შეგრძნება აქვს.

მას ჭამა სჭირდება, სუნთქვა და ძილი.

მის სიფრიფანა კანქვეშ უშუალოდ სისხლია.

მას საკმაო რაოდენობით კბილები და ფრჩხილები გააჩნია.

მისი ძვლები მყიფეა, სახსრები წელადი.

წამების დროს, ყოველივე ეს გასათვალისწინებელია.

არაფერი შეცვლილა.

სხეული კანკალებს ისევ, როგორც კანკალებდა

რომის დაარსებამდე და მისი დაარსების პერეც.

მეოცე საუკუნეში, ქრისტეს დაბადებამდე და შემდეგაც.

წამებას იყენებდნენ ყოველთვის,

დღესაც იყენებენ, მაგრამ მიწა დაპატარავდა

და ახლა ქვეყანაზე რაც კი ხდება,

ყველაფერს ისე აღვიქვამთ,

თითქოს ჩვენს ახლოს ხდებოდეს, აქვე, კედლის იქით.

არაფერი შეცვლილა.

მხოლოდ ხალხი მომრავლდა.

ძველ დანაშაულს ახლები დაემატა

რეალური, მოგონილი, თავს მოხვეული, არანაირი.

był, jest i będzie krzykiem niewinności,
podług odwiecznej skali i rejestru.

Nic się nie zmieniło.

Chyba tylko maniery, ceremonie, tańce.

Ruch rąk osłaniających głowę
pozostał jednak ten sam.

Ciało się wije, szarpie i wyrywa,
ścięte z nóg pada, podkurcza kolana,
sinieje, puchnie, ślini się i broczy.

Nic się nie zmieniło.

Poza biegiem rzek,

linią lasów, wybrzeży, pustyń i lodowców.

Wśród tych pejzaży duszyczka się snuje,

znika, powraca, zbliża się, oddala,

sama dla siebie obca, nieuchwytna,

raz pewna, raz niepewna swojego istnienia,

podczas gdy ciało jest i jest i jest

i nie ma się gdzie podziąć.

მაგრამ ყვირილი, რითაც სხეული პასუხს აგებს დანაშაულზე, იყო, არის და დარჩება უდანაშაულობის ძახილად, თანახმად ოდიდგან დაწესებული წესისა და განრიგისა. არაფერი შეცვლილა.

მარტო ჩვევები, ცერემონიები და ცეკვები თუ შეიცვალა, ხელის მოძრაობა კი, როცა ადამიანი თავს იცავს დარტყმისგან, ისეთივეა, როგორც იყო და სხეულიც ისევ ეცემა ძირს, იკრუნჩხება, ღმუის, ლურჯდება, სივდება და სისხლისგან იცლება. არაფერი შეცვლილა.

მდინარეთა დინების, ტყეთა მასივების და სანაპიროთა მოხაზულობის გარდა.

ამ პეიზაჟში სული ადგილს ვერ პოულობს, დაძრწის, აქეთ-იქით აწყდება – უჩინარდება, ბრუნდება, მიდის, ახლოვდება, საკუთარ თავს ვერ ცნობს – ხან ჰგონია რომ არსებობს, ხან ესეც არ სჯერა. ამასობაში კი სხეული არის, არის და არის – და არსად წასვლა არ შეუძლია.



O ŚMIERCI BEZ PRZESADY


Nie zna się na żartach,
na gwiazdach, na mostach,
na tkactwie, na górnictwie, na uprawie roli,
na budowie okrętów i pieczeniu ciasta.

W nasze rozmowy o planach na jutro
wtrąca swoje ostatnie słowo
nie na temat.

Nie umie nawet tego,
co bezpośrednio łączy się z jej fachem:
ani grobu wykopać,
ani trumny sklecić,
ani sprzątnąć po sobie.

Zajęta zabijaniem,
robi to niezdarnie,
bez systemu i wprawy.
Jakby na każdym z nas uczyła się dopiero.

Tryumfy tryumfami,
ale ileż klęsk,



სიკვდილზე – გადაუჭარბებლად

ხუმრობა სრულებით არ ესმის.

არაფერი გაეგება ვარსკვლავებში, ხიდეებში,

სამკერვალო საქმეში, ქვანახშირის მოპოვებაში,

გემთმშენებლობასა და პურის ცხობაში.

ჩვენს საუბრებში, მომავლის გეგმებს რომ ვსახავთ,

ბოლო სიტყვას ურთავს ხოლმე,

თან უადგილოდ და სხვა თემაზე.

ისიც არ იცის, რაც უშუალოდ მის პროფესიას ეხება:

საფლავის გათხრა,

კუბოს გაკეთება,

სამუშაო ადგილის დასუფთავება.

განადგურებით გართული,

მოქმედებს ჰაიჰარად,

უნიჭოდ და უსისტემოდ,

თითქოს თითოეულ ჩვენთაგანზე თავიდან სწავლობდეს თავის ხელობას.

გამარჯვებები გამარჯვებებად დარჩეს,

ciosów chybionych
i prób podejmowanych od nowa!

Czasami brak jej siły,
żeby strącić muchę z powietrza.
Z niejedną gąsienicą
przygrywa wyścig w pełzaniu.

Te wszystkie bulwy, strąki,
czułki, pletwy, tchawki,
pióra godowe i zimowa sierść
świadczą o zaległościach
w jej marudnej pracy.

Zła wola nie wystarcza
i nawet nasza pomoc w wojnach i przewrotach,
to, jak dotąd, za mało.

Serca stukają w jajkach.
Rosną szkielety niemowląt.
Nasiona dorabiają się dwóch pierwszych listków,
a często i wysokich drzew na horyzoncie.


Kto twierdzi, że jest wszechmocna,
sam jest żywym dowodem,
że wszechmocna nie jest.

მაგრამ... ამდენი მარცხი,
მიზანს აცდენილი დარტყმა
და ხელახალი მცდელობა!
ზოგჯერ იმის ძალაც არ ჰყოფნის
გაფრენილი ბუზი გააქროს ჰაერში
ან მიწაზე მცოცავ ჭიანჭველას შეეჯიბროს სისწრაფეში!
ყველა ეს შეხორცებები, ღრუბლები, ქერქები,
ტრაქეები, ფარფლები,
საქორწინო ბუმბული და ცივი ბეწვი –
მის მუდმივ დავალიანებას მოწმობს
ქვეყნის წინაშე.
მარტო ბოროტი ნება არ კმარა,
ჩვენი ხელშეწყობაც – ომებითა და რევოლუციებით –
მეტად უმნიშვნელოა,
რომ მის საქმიანობას ნაყოფიერი ეწოდოს.
ვინც ამტკიცებს, სიკვდილი ყოვლისშემძლეაო,
თვითონ ცოცხალი საბუთია იმის,
რომ სიკვდილი ყოვლისშემძლე არ არის.


Nie ma takiego życia,
które by choć przez chwilę
nie było nieśmiertelne.

Śmierć
zawsze o tę chwilę przybywa spóźniona.

Na próżno szarpie klamką
niewidzialnych drzwi.
Kto ile zdążył,
tego mu cofnąć nie może.



არ არსებობს სიცოცხლე,
ერთი წუთით არ ყოფილიყოს უკვდავი.
სწორედ ამ ერთი წუთით
იგვიანებს სიკვდილი.
ამოდ ეჯავჯვურება უხილავი კარის სახელურს:
რაც უკვე მოვასწარით,
იმის წართმევა არ შეიძლება.





TREMA

Poeci i pisarze.

Tak się przecierz mówi.

Czyli poeci nie pisarze, tylko kto -

Poeci to poezja, pisarze to proza -

W prozie może być wszystko, również i poezja,
ale w poezji musi być tylko poezja -

Zgodnie z afiszem, który ją ogłasza
przez duże, z secesyjnym zawijasem P,
wpisane w struny uskrzydłonej liry,
powinnam raczej wyfrunąć niż wejść -

I czy nie lepiej boso,
niż w tych butach z Chełmka
tupiąc, skrzypiąc
w niezdarnym zastępstwie anioła -

Gdyby chociaż ta suknia dłuższa, powłóczystsza,
a wiersze nie z torebki, ale wprost z rękawa,
od święta, od parady, od wielkiego dzwonu,



მღელვარება

„პოეტები და მწერლებიო“, –

ასე ამბობენ, მგონია.

მაშ, პოეტები მწერლები არ ყოფილან? აბა, ვინ არიან –

პოეტები – პოეზიაა, მწერლები – პროზაა.

პროზაში ყველაფერი შეიძლება იყოს, აგრეთვე – პოეზიაც,

პოეზიაში კი მარტო პოეზია იგულისხმება.

აფიშის თანახმად, პოეტთან შეხვედრას რომ გვაუწყებს,

(ასო „პ“, ლეკადენტური ორნამენტით დამშვენებული,

ფრთიანი ქნარის სიმებშია ჩახატული)

წესით, მე სცენაზე კი არ უნდა შემოვიდე,

(პროვინციაში დამზადებული ტლანქი ფეხსაცმლის ბრახუნით),

არამედ ჩიტივით უნდა შემოვფრინდე, ფეხშიშველი,

გრძელ, გამჭირვალე კაბაში გამოწყობილი

და ლექსებს ხელჩანთიდან კი არ უნდა ვიღებდე,

ფართო სახელოებიდან ვაჩენდე

მელოდიური მუსიკის თანხლებით,

od bim do bum,
ab ab ba -

A tam na podium czyha już stoliczek
spirytystyczny jakiś, na złożonych nóżkach,
a na stoliczku kopci się lichtarzyk -

Z czego wniosek,
że będę musiała przy świecach
czytać to, co pisałam przy zwykłej żarówce
stuk stuk na maszynie -

Nie martwiąc się zawczasu,
czy to jest poezja
i jaka to poezja -

Czy taka, w której proza widziana jest źle -
Czy taka, która dobrze jest widziana w prozie -

I co w tym za różnica,
wyraźna już tylko w półmroku
na tle kurtyny bodro
z fioletowymi flędzlami?

როგორც სასწაულმოქმედი ჯადოქარი...
იქ კი, შემადლებულ ადგილზე, უკვე მაგიდა მიცდის,
სპირიტისტული ფორმის, მოოქროვილ ფეხებიანი,
მაგიდაზე შანდლებია, რაც იმას ნიშნავს,
რომ მე სანთლის შუქზე უნდა წავითხო ის,
რასაც ჩვეულებრივ ელნათურის შუქზე –
„ჩხაკ-ჩხუკ“ – საბეჭდ მანქანაზე ვბეჭდავდი
და მაშინ სულ არ მიფიქრია იმაზე,
პოეზიაა ეს თუ არა, ან როგორი პოეზიაა –
ისეთი, სადაც პროზა ცუდად ამოიკითხება,
თუ ისეთი, პროზით რომ უნდა გადმოცემულიყო
და საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს ამ განსხვავებას,
თუ იგი მხოლოდ ნახევრადჩაბნელებულ დარბაზში,
ბორდოსფერი ხავერდის ფოჩებიანი ფარდის ფონზე გამოჩნდება.



ODZIEŻ

Zdejmujesz, zdejmujemy, zdejmujecie
płaszcz, żakiety, marynarki, bluzki
z wełny, bawełny, elanobawełny,
spódnice, spodnie, skarpetki, bieliznę,
kładąc, wieszając, przerzucając przez
oparcia krzeseł, skrzydła parawanów;
na razie, mówi lekarz, to nic poważnego,
proszę się ubrać, odpocząć, wyjechać,
zażywać w razie gdyby, przed snem, po jedzeniu,
pokazać się za kwartał, za rok, za półtora;
widzisz, a ty myślałeś, a myśmy się bali,
a wyście przypuszczali, a on podejrzewał;
czas już wiązać, zapinać drżącymi jeszcze rękami
sznurowadła, zatrzaski, suwaki, klamerki,
paski, guziki, krawaty, kołnierze
i wyciągać z rękawów, z torebek, z kieszeni
wymięty, w kropki, w paski, w kwiatki, w kratkę szalik
o przedłużonej nagle przydatności.



ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი

ვიხდი, იხდის, იხდიან,
პალტოებს, კაბებს, პიჯაკებს, ჯემპრებს,
შარვლებს, ტრუსებს, წინდებს, პერანგებს,
აწყობენ, ალაგებენ, აფენენ, ჰკიდებენ,
საკიდებზე, სკამებზე, ტაბურეტებზე, თეჯირზე;
ჯერჯერობითო, — ბრძანებს ექიმი, — საშიში არაფერიაო.
დალიეთ, წაისვით, დაიზილეთ, მიიღეთ
იმ შემთხვევაში თუ, ძილის წინ, ჭამის დროს,
გაესინჯეთ ერთი თვის, ერთი წლის, წლინახევრის შემდეგ;
აი, ხედავ? შენ კი ღელავდი, ჩვენ კი გვეშინოდა,
ექვე გვეპარებოდა, არ ვიცოდით;
შეგიძლიათ ჩაიცვათ, შეიკრათ, შეიბნით
ჯერაც ისევ აკანკალებული თითებით;
ლილები, ქამრები, საყელოები,
ამოიღოთ ჯიბებიდან, ჩანთებიდან, უბეებიდან,
დაჭმუჭნილი, კოპლებიანი, კუბოკრული, ზოლებიანი;
სარკეში ჩაიხედოთ, შეიწმინდოთ, შეიმშრალეთ,
და ისევ დაუბრუნდეთ თქვენს ვარგისობას,
ასე მოულოდნელად რომ გაგიხანგრძლივეს.



RELACJA ZE SZPITALA

Ciągnęliśmy zapalki, kto ma pójść do niego.

Wypadło na mnie. Wstałem od stolika.

Zbliżała się już pora odwiedzin w szpitalu.

Nie odpowiedział nic na powitanie.

Chciałem go wziąć za rękę - cofnął ją

jak głodny pies, co nie da kości.

Wygląda, jakby się wstydził umierać.

Nie wiem, o czym się mówi takiemu jak on.

Mijaliśmy się wzrokiem jak w fotomontażu.

Nie prosił ani zostać, ani odejść.

Nie pytał o nikogo z naszego stolika.

Ani o ciebie, Bolku. Ani o ciebie, Tolku. Ani o ciebie, Lolku.



საავადმყოფოში მისვლა

ჩვენ წილი ვყარეთ ასანთებით: ვინ წავა მასთან?
მე მომიწია და იმწამსვე დავტოვე სუფრა.
საავადმყოფო იქვე იყო, რესტორნის გვერდით
და მნახველების მიღების დრო ახლოვდებოდა...

მან არაფერი მიპასუხა მისალმებაზე
და როს მარჯვენა გაუწოდე, ხელი წაიღო
უმაღვე ისე, ვით დამშეულმა ნაგაზმა – ძვალნი.

ისეთი სახე და ისეთი იერი ჰქონდა,
თითქოს რცხვენოდა საკუთარი გარდაცვალების.
რა უნდა მეტყვა, არ ვიცოდი და ჩემი მზერა
მის თვალებს ასცდა, როგორც ჭერში ნასროლი ტყვია.

იგი არ მთხოვდა არც დარჩენას, არც წასვლას მთხოვდა,
თქვენი ამბავიც არ უკითხავს, არც შენი ვლოდეკ,
არც შენი მარეკ, და არც შენი, ჩემო ირენა...

Rozbolala mnie głowa. Kto komu umiera?
Chwaliłem medycynę i trzy fiołki w szklance.
Opowiadałem o słońcu i gasłem.

Jak dobrze, że są schody, którymi się zbiega.
Jak dobrze, że jest brama, którą się otwiera.
Jak dobrze, że czekacie na mnie przy stoliku.


Szpitalna woń przyprawia mnie o mdłości.



თავი ამტკივდა. ვინ კვდებოდა? ვის უკვდებოდა?
რატომ და რისთვის; დაბნეული, ხოტბას ვასხამდი
თანამედროვე მედიცინას და სამ გვირილას,
ფანჯრის რაფაზე გამჭირვალე ლარნაკში ჩადგმულს...

მადლობა უფალს! რა კარგია, კიბე არსებობს
და შეგიძლია სულ სირბილით დაეშვა თავქვე!
მადლობა უფალს! რა კარგია, კიბე არსებობს
და შეგიძლია გააღო და გავარდე გარეთ!
მადლობა უფალს! აქვე ახლო რესტორანია,
სადაც თქვენ, ჩემო მეგობრებო, ამჟამად მიცდით!





MUZEUM

Są talerze, ale nie ma apetytu.

Są obrączki, ale nie ma wzajemności
od co najmniej trzystu lat.

Jes wachlarz - gdzie rumieńce?

Są miecze - gdzie gniew?

I lutnia ani brzęknie o szarej godzinie.


Z braku wieczności zgromadzono

dziesięć tysięcy starych rzeczy.

Omszały woźny drzemie słodko
zwiesiwszy wąsy nad gablotką.

Metale, glina, piórko ptasie

cichutko tryumfują w czasie.



მუზეუმი

სუფრა გაშლილა... მაგრამ რა გინდა, – არავინაა ჭამის მადაზე!
თასებიც არის... მაგრამ არავინ ფიქრობს ღვინოზე და თამადაზე!
და ეს ნივთები სამასწლოვანი – ასე იქნება კიდევ ათას წელს.

არის მარაო, მაგრამ სადღაა ცეკვით დაღლილი ტურფა ქალები?
არის ხანჯალი, მაგრამ სადღაა ახანძრებული რისხვით თვალები?
არის ბარბითი, მაგრამ როგორი – მტკერწაყრილი და გულჩახვეული
და სამუდამოდ დაღუპებულან სიმები – თითებს გადაჩვეული.

,მარადისობის დასამტკიცებლად აქ მოიტანეს ძველი ნივთები,
რასაც ოდესღაც ერქვა: ქონება, შესაწირავი, ძღვენი, მზითევი,
რაც კი ოდესღაც გამოდგებოდა სიყვარულის და ხსოვნის დასტურად,
რაც არსებობდა არსებობისთვის და არსებობა არ დაასრულა!

მუხის ავეჯი, ძვლის ქანდაკება და იარაღი ვერცხლით ნაფერი, –
ყამთა ბრუნვაზე თვის გამარჯვებას უნძოდ ზეიმობს აქ ყველაფერი:

Chichocze tylko szpilka po śmieszce z Egiptu.

Korona przeczekała głowę.

Przegrała dłoń do rękawicy.

Zwyciężył prawy but nad nogą.

Co do mnie, żyję, proszę wierzyć.

Mój wyścig z suknią nadal trwa.

A jaki ona upór ma!

A jakby ona chciała przeżyć!



გვირგვინი თავზე გამძლე გამოდგა, ტახტი – საჯდომზე უფრო
დღეგრძელი,
ფეხი ფეხსაცმელს ვერ მოერია და დაამარცხა ფერმა ფერმწერი!

რაც შეეხება ჩემს პიროვნებას, გთხოვთ, დამიჯეროთ:
მე ცოცხალი ვარ
და ჩემს კაბასთან ჩემი ჭიდილი კაბის ვერაგულ განზრახვას აჩენს:
რა ჯიუტია, რა თავზედია, არც კი მაღავს, რაც დასამალია –
